ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3175830

ნომერი: AR1489420

თარიღი : 24.03.2017

გაცემის თარიღი : 05.04.2017

გაცნობის თარიღი : 13.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065) / ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი 09/074) / ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ჟორჟოლიანი პ/ნ 01031001063
- თბილისი გ.კარტოზიას ქ. N 8 კორ. 8 ბ. 21

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1489420 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, #01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან

დაკავშირებით საკითხის განხილვისას წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 25 ნოემბრის #2954485 ბრძანებით ქ. თბილისში, #01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისათვის დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

2017 წლის 31 მარტს #3182468 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065) / ქალაქი თბილისი, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი 09/074) / ქალაქი თბილისი, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლოქეიშნ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.05.009.098), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის მიერ #2954485 და #3182468 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.